

# სპორტიელი

ქართული  
ზინური

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 22 დეკემბერი 2004 №297 (2318)

ფასი 50 თეთრი



გადარი კაითილასის ფოტო

## გვანახეთ ეროვნულზე აკადემიური ლელო!


დღეს „ეროვნულზე“ მორაგბეები შევლენ და შინაურ სარაგბო სეზონს დახურავენ. მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს თბილისური „აქადემია“ და თბილისურივე „ლელო“ ხვდებიან, გუნდები, რომლებიც უმაღლეს ლიგაში ორი წლის წინ გადმოვიდნენ და წლეულს გაცილებით სახელიან გუნდებს – „ლოკომოტივს“, „ყოჩებსა“ და „დათვებს“ აჯობებს. „აქადემიამ“ ორიოდ კვირის წინ პლეი ოფში, ეგრეთ წოდებულ წინასწარ ფინალში უკვე მოასწრო „ლელოს“ დამარცხება. ეს მატი დაახლოებით ნახევარფინალს შეესაბამებოდა, მაგრამ ცოტა უჩვეულო საპლეიოფო სისტემით რაგბში დამარცხებული მაშინვე არ ვარდება. „ლელომაც“ ერთი თამაში მოიგო და ჰა, ფინალში ძველ მეტოქეს ხვდება.



ნინო გურგიელი



გურამ აბასანძე



კახა ჩიგოგიძე

## მეფე თუ დედოფალი? ქართულ ჭადრაკს წონა ემატება

დღეს ჭადრაკის სასახლე დილიდანვე ფუტკრის სკასავით იზუზუნებს. მოჭადრაკეებს ყრილობა და პრეზიდენტის არჩევნები აქვთ, ეს კი ისეთი პროცესია, სულ მცირე, კამათს, ხმამაღალ განსჯასა და მხარეების მიერ ერთმანეთისთვის ძველი ცოდვების წამოძახებას რომ გულისხმობს. პრეზიდენტობის კანდიდატი ოთხია — მოქმედი პრეზიდენტი კახა ჩიგოგიძე, ექსპრეზიდენტი ნინო გურგიელი, სახელმწიფო მინისტრი გურამ აბასანძე და საქართველოში ბავშვთა ჭადრაკის განვითარების კურატორი აკაკი იაშვილი. ქართულ ჭადრაკში ყველაზე ცნობილმა ფიგურამ ზურაბ აზმაიფარაშვილმა რამდენიმე დღის წინ თავისი კანდიდატურა აბასანძის სასარგებლოდ მოხსნა.

## GRACIAS

გუშინწინ დაჯილდოვებულ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს გუშინ „კამპ ნოუ“ დიდი ოვაციით შეეგება, არც რონალდინიო დარჩენია ვალში ერთგულ ინჩასებს და სამადლობელ სიტყვას საქმეც მიაყოლა — „ბარსელონას“ გამარჯვებაში გოლით ვერა, მაგრამ პას-ფინტებით კი შეენია. „ბარსამ“ 2:1 დაამარცხა „ლევანტე“ და მდევართაგან კვლავ მიუწვდომელია. პრიმერას მე-17 ტური კი დღეს დასრულდება და ესპანელებიც, გერმანელებისა და იტალიელების მსგავსად, საშობაო არდადეგებზე წავლენ.



REUTERS ბარსელონიდან

## გიორგი ლომაიას ბუნდესშანსი



გადარი კაითილასის ფოტო

## კაიზერსლუტერნს ქართველ მკურნალ ელკურაშვილს



















ესპანეთი ლაო სოპრიანი



„ესპანოლმა“ ვალენსიაში დანი ვერ წაიყვანა

Table with football statistics for the XVII tournament, listing teams like ალბასტე, ბოლსაო, and their respective scores.

ესპანეთში გუშინ დაიწყო შობისწინა ტური და დღევანდელი რვა თამაშით დასრულდება. მომდევნო შეხვედრა პრიმერასთან გაისად გველის, იქამდე კი ამ ტურის მატჩებზე ვთქვათ.

ელდემ სვლიაძეს

ბარსალონას ვარაზინი შეეხება... ამ სეზონში შეუძლებელია, „მესტალიაზე“ დანის გარეშე ითამაშებს.

Table with football statistics titled 'სადღეისო ვითარება' (Current Situation), listing players and their performance metrics.

საკი შერ პრ მისულა და უკვე უფროსი დაუნეშნეს

ბოლო კვირების განმავლობაში „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი და დირექტორი ემილიო ბუტრაგენიო ფიქრობდნენ, შეიძლებოდა თუ არა კლუბში ფეხბურთის კოორდინატორის თანამდებობის შემოღება და რა უნდა ეწოდებინათ ამ თანამდებობისთვის — ასე იწყება „სამეფო კლუბის“ ოფიციალური განცხადება, რომელიც მადრიდიდან გუშინ გავრცელდა — ბოლო დღეებში კი ამ პოსტზე დანიშნვის ყველაზე რეალურ კანდიდატად არივო საკი მიიჩნეოდა. საკი, თუ ის თანამდებობაზე დაინიშნება, ემილიო ბუტრაგენიოს ხელმძღვანელობით იმუშაებს.



ინგლისში „ტოტენჰემი“ უკვე ჯერმენ დეფოს შემცვლელს ეძებს, რომელიც შესაძლოა, იანვარში „ჩელსიში“ აღმოჩნდეს. „მამლებმა“ ამჯერად ბელგიის ნაკრებისა და როტერდამის „ფეიენოორდის“ ფორვარდ თომას ბუფელს დაადგეს თვალის. ლონდონელები ჰოლანდიურ კლუბს 3 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. თავად ფეხბურთელიც თანახმაა, ნისლიან ალბიონზე გადაბარდეს.



ბრაზილიელ ფორვარდ ჯოვანი ელბერს გერმანიაში დაბრუნება სურს. ფეხბურთელმა ფაქტობრივად გადაწყვიტა, რომ მომავალ ზაფხულს ფრანგულ „ლიონს“ დატოვებს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ელბერმა მორიგი ოპერაცია გაიკეთა და კიდევ რამდენიმე თვე ვერ ითამაშებს. მიუხედავად ამისა, მისი გადაბრუნების სურვილს უკვე გამოთქვამს მიონხენგლადბახის „ბორუსია“.

ბერამანული „დორტმუნდი“ „მინცი“ ვეტერან ვოლკჰანერ ტიმო ვახეს შექმნას აპირებს. ბერტ ვან მარვიკი თავისი მეკარეებით უკმაყოფილოა: ახალგაზრდა რომან გაიდინგელი არადააჯერებულად თამაშობს, ხოლო გამოცდილი გიომ ვარმუზი ფორმაში არ არის. ამიტომაც სურს ვან მარვიკს ვახე იანვარშივე გადაიბიროს. თავის მხრივ „მინცი“ თავის მეკარეს ახალ კონტრაქტს სთავაზობს, ეს უკანასკნელი კი ჯერ ყოყმანობს.


შეგახსენებთ, რომ 58 წლის საკი, 1998-99 წლებში მადრიდში უკვე მუშაობდა, ოღონდ ეს იყო არა „რეალი“, არამედ ქალაქის მეორე გუნდი „ატლეტიკო“.

რუში და ანტონიო კამაჩო, ხოლო ახლა მარიანო გარსია რემონი უძღვება საქმეს.

ინგლისის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველმა დევიდ ბექემმა თავის 5 წლის ვაჟს, ბრუკლინს ლონდონის ერთ-ერთ მაღაზიაში საახალწლოდ 22 ათას გირვანქიანი ავტომობილი უყიდა — „ჰამერის“ მინი-მოდელი.

ბერამანული „ბაიერნი“ რუსეთის ნაკრებისა და სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ფაორვარდ ალექსანდრ კერუაკოვს კვლავ უტრიალებს. რუსული პრესის ცნობით, მიუნხენელები იანვარში მოლაპარაკებებსაც დაიწყებენ. „გერმანელები ჯერჯერობით შორიდან გვაკვირდებიან. რამდენად ძლიერია მათი ინტერესი, იანვარში გამოჩნდება“ — თქვა კერუაკოვის აგენტმა კონსტანტინ სარასინმა.

ბერამანული „ბაიერნი“ ვეტერანი მცველი თომას ლინკე იანვარში ინგლისში გადაბარდება აპირებს. იგი ბოლო დროს მიუნხენელთა ძირითად შემადგენლობაში სულ უფრო იშვიათად ხვდება. ლინკე „ბლექბერნი“ წინადადებას განიხილავს. „პრემიერლიგა ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში, ხოლო „ბლექბერნი“ საინტერესო კლუბია. იქ საიმედო ვითარებაში“ — მოკლედ მოჭრა ლინკემ.



რობერტო კარლოსს ვარჯიში დაუწევს

რობერტო კარლოსის უთამაშებლობა მარიანო რემონმა იმით ახსნა, ვარჯიშისას საკმარისად არ დაიხარჯა და ფეხბურთელიც მწვრთნელის სწორედ ამ ნათქვამმა გააცოფა.

ლუქსემბურგის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს: პოსტი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან უთანხმოების გამო დანიშნა ალან სიმონსენმა რამდენიმე დღის წინ დატოვა მას ადგილობრივი სპეციალისტი, 40 წლის გი ჰულერსი შეცვლის, რომელიც აქამდე ლუქსემბურგის ახალგაზრდულ ნაკრებს მწვრთნიდა, ფეხბურთელის რანგში კი ფრანგულ „მეტსა“ და ბელგიურ „სტანდარდში“ უთამაშა.

ბელგიურმა „ლოკერენმა“ გასულ უქმეებზე საშინაო მატჩი „შარლერუას“ ვერ მოუგო და მათე ადგილზე ჩაინაცვლა, რითაც უკმაყოფილო გუნდის პრეზიდენტმა როჯერ ლამბრეხტმა მწვრთნელის პოსტიდან დაუყოვნებლივ დაითხოვა ფრენკი ვან დერ ელსტი. ახალი მწვრთნელის ვინაობა ჯერ უცნობია.

Advertisement for 'სარგბიელი' (Sargbieli) featuring a large logo, contact information (39-48-29, 38-11-14), and a list of services.











REUTERS ბადენ ბადენიდან



# წლის უშუაგობა

ბადენ ბადენში დიდი ხმაურითა და სილაიმანით ჩატარდა გერმანიის „წლის სპორტსმენთა“ დასახელება-დაჯილდოება. კაცთა შორის უპირველესობა, ცხადია, მიხედავს შუბახერს ერვო. ლაურეატებს კი ფურნალისტები ასახელებდნენ.

## სხვირკოსნა

არაბეთის ყურის საფეხბურთო თასის ნახევარფინალში ყატარის ნაკრებმა კუვეიტისას სძლია და ახლა ფინალში თმანს შეხვდება. თამაში ყატარის დედაქალაქ დოჰაში იყო და იქაურმა უფლისწულმა შეიხ ჯუან ბინ ჰამად ალ-თამიმ ისე გაიხარა, რომ მავანი არანაკლებ ვახარებული ვულშემატკივარი არაბთათვის ტრადიციული ცხვირცხით დააჯილდოვა.



# მზადება

ცოტაც და ჩრდილო დაკოტაში. ვრახდ თორში ჭაბუკია მსოფლიოს ჩემპიონატი ვახუნდება-ჰოყეში. ეკელა მონაწილეს უკვე ჩრდილოთაშურეკაში მოუყრია თავი და ერთმანეთს გასახურებლად ეჯიბრებიან. ასეა ვინიბეგშიც: კანადელთა კაპიტანი მაიკლ რიხარდსი ფინელთა მეკარის, იონას პალიკაინენის მიჭყლეტას ლაძობს.



REUTERS ვინიბეგიდან

# ალტა ბადიაში

ასე ხრობს კანადელი ტომას ვრახდი თავის ჩემპიონობას ვივანტურ სლალომში. სამთოთხილამურობაში კაცთა მსოფლიოს თასი კი იტალიურ ალტა ბადიაში მიმდინარეობს. მზიან თოვლში ლალი მაყურებელიც ბლომად მოვროვილა.



REUTERS ალტა ბადიიდან

# მესამე და სამართალი



ფაიფლაინ მასტერსი მსოფლიოს სამ უდიდეს სასერფინგო შეჯიბრთა შორის მესამე და გადამწყვეტია. ანუ მესამე თავია სამთავა გვირგვინად წოდებულ ამბავში. ჰავაიში, ეპუკაი ბიჩზე იქაურივე კალანი რობი ტაღლას ებრძვის.

REUTERS ეპუკაი ბიჩიდან

## სარბიელი

საერთოული გაზეთი

გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოცემის ოფისები, საფაბრიკოსი, ოფისები, ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი

გამომცემელი ზურაბ შოცხვერია  
დირექტორი გიორგი ოქროშვილი  
რედაქტორი თამაზ მიგრიალი  
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორევი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინსარიძე, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ასელედანი, ილია ბაბუნაშვილი, ვიორჯი დარჯანია, ვიორჯი ვაშაქიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქცია: ვაა ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლავარაძე, ივანე მჭედლაძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუნუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალისხელი, მგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

გამომცემის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა: sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია: http://www.sarbieli.com.ge